თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 14

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

22 დეკემბერი 2021 წელი

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. შალვა ჭანკვეტაძე, 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. ბიძინა ბუცხრიკიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რიოლანდი მესხი, 2 კახა ბუცხრიკიძე

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1 „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282135614, 22.12.2021 წ.).

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის ცვლილებამ. დაკორექტირდა შემოსულობები და მოხდა ხარჯვითი ნაწილის კორექტირება.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შემცირდა 975.0 ათასი ლარით და შეადგენს 20662.0 ათას ლარს.

გრანტების გეგმა შემცირდა 635,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლების გეგმა შემცირდა 432.1 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა164.0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 255.6 ათასი ლარით (ქონების გადასახადი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა - 1250.9 ათასი ლარით, საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 47.9 ატასი ლარით, მერიის დაფინანსება შემცირდა 75.1 ათასი ლარით. სამხედრო სამსახურის დაფინანსება შემცირდა 5.7 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 1.9 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 22.1 ათასი ლარით. წყალმომარაგება შემცირდა 399.7 ათასი ლარით. გარე განათების ხარჯი შემცირდა 8.7 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 65,0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 45.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია შემცირდა 166,3 ათასი ლარით.შუალედო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 381.1 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 1.4 ათასი ლარით. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება შემცირდა 14.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება შემცირდა 12.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით; გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით, ლარით.(კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის დაფინანსება გაიზარდა 98.0 ათასი ლარით და სიქთარვა-ზხარი ეწრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაფინანსდება გაიზარდა 177.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282135614, 22.12.2021 წ.).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2021 წლის 22 დეკემბრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი